N 47 14/02/2017

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
ი.დუმბაძის ანგარიშის მოსმენის სხდომის
ოქმი

2017 წელი, 13 თებერვალი
ქ.ოზურგეთი
14.30-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დ.დარჩია -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრის ამომრჩევლები

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე-გ.კილაძე.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თვმჯდომარე -დ.დარჩია მიესალმა და მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და განსაკუთრებით, ამომრჩევლებს, რომლებიც ინტერესდებიან მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებით და იჩენენ აქტივობას, აღნიშნა, რომ დაიწყო საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრის მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ამომრჩევლებისათვის ჩაბარება, განაცხადა, რომ ი. დუმბაძე არის მაღალი პასუხისმგებლობის მქონე საკრებულოს წევრი, აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციის, კომისიების მიერ პრობლემატური საკითხების განხილვაში, ასევე იბრძვის სოფელ ცხემლისხიდის პრობლემების გადაჭრისათვის.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ი.დუმბაძემ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის N131 მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ 2016 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ფრაქციის, კომისიების სხდომებზე და ამომრჩევლებთან შეხვედრებზე გაწეული მუშაობის ანგარიში.

ამომრჩევლებმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისაგან ითხოვეს ცხემლისხიდის ადმინისტრაციული ერთეულის ბაღდადის დასახლების გაზიფიკაციაში დახმარება.

სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ აღუთქვა ამომრჩევლებს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მუნიციპალიტეტი გაუწევს დახმარებას არსებული პრობლემების მოგვარებაში.

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებმა ლ.საჯაიამ და რ.სკამკოჩაიშვილმა დადებითად შეაფასეს ი.დუმბაძის მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

ამომრჩევლებმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ თანამდებობის პირებს მადლობა გადაუხადეს ღონისძიებაში მონაწილეობისათვის და გამოთქვეს აზრი საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასებულიყო დამაკმაყოფილებლად, რომელსაც სხდომის თავმჯდომარემ და სხდომამაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო